93
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 183
აგვისტოს 28, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 183
აგვისტოს 28, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.

ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

გორში: არტონ კასრაძესთან.

განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ნატალია მერაბის ასული ცაგარლისა აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისის მეუღლის

ავქსენტი ანტ. ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე. (2—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.

სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სი[illegible]ჩში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და აქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონ[illegible] გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან. იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

კამპანიას ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო [illegible]ნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—19)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და ხნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა ა ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ნ. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე. (24—361—21)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

სასწავლებელი

და

პანსიონი

გ. ლ. ყუზანოვისა

იღებს ბავშვებს სრულ და ნახევარ პანსიონერებათ და აგრეთვე გარედან მოსიარულედ და ამზადებს ყველა სახელმწიფო სასწავლებელთათვის. აგრეთვე მიიღება ყველა სასწავლებელში მოსიარულე ბავშვები ბინით. ბავშვებს მიიღებენ 22 აგვისტოდგან. სწავლა 2-ს სექტემბრიდან დაიწყება. პანსიონი იმყოფება სოლოლაკში, ბებუთოვის (წინეთ სადოვის) ქუჩაზე, სახლი ექიმ ქუჩარიანცისა № 50. (5—407—4).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ზ. ზ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 28 **აგვისტოს**.

ამ უკანასკნელ წლებში ქართლ-კახეთის მხარეს რამდენიმე სოფლის სამკურნალო ქსენონები დაფუძნდა, რაიცა მოხსენებული იყო სხვა-და-სხვა დროს ჩვენს გაზეთში.

ამ ჟამად ეს საქმე საკმაოდ თვალ-საჩინოდ მიგვაჩნია, რომ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ და რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მის შესახებ.

სულ პირველად ამ საგანს მთავრობამ მიაქცია ყურადღება და პირველი ქსენონები დაარსა ქართლ-კახეთში და აგრეთვე იმერეთში. ეს პირველი ცდა იყო, რომელმაც ყველა დაარწმუნა, რომ სოფლის ხალხი მართლა ისე არ გაურბის ნასწავლ ექიმებს და სამკურნალოებს, როგორც შეცდომით ფიქრობდნენ. ცრუ აზრია გავრცელებული, ვითომც სოფლის ხალხი მკითხავებს, მარჩიელებს და დალაქებს უფრო ეტანება, ვიდრე ექიმებსო. თუ ხალხი მკითხავებსა და დალაქებს ეტანება, ამისი მიზეზი ცხადია. ეტანება იმიტომ, რომ ახლოს ნასწავლი ექიმი არ მოიპოვება. სადაც-კი ახლოს სოფელში ექიმი გაჩნდა, ხალხიც შემოეხვია და ისე შემოეხვია, რომ ექიმები სჩივიან, ვეღარ ავდივართ ამოდენა რიცხვს ავადმყოფებისასაო.

რაკი პირველი მშვენიერი ახალი სასარგებლო საქმე ჰნახა სოფლის ხალხმა, აქა-იქ დაიწყო სამკურნალოს საჭიროებაზედ ლაპარაკი და ზრუნვა. სკოლების გამართვაზე ქართლ-კახეთის სოფლის ხალხი ისე ხალისიანად მოწადინებული არ ყოფილა, როგორც ქსენონების გამართვაზეა.

ვხედავთ ამ ჟამად, რომ ქართლსა და კახეთში სოფლებმა განაჩენები დაადგინეს და თითქმის ყოველ მაზრაში სამკურნალო დაფუძნდა საკუთარის ექიმით; სახლის ქირას და ექიმის ჯამაგირს სოფლები იძლევიან და რამდენიმე წელიწადია ინახავენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციამაც ხელი შეუწყო და დიდის თანაგრძნობით ეგებებოდა სამკურნალოების დაარსებასა. სამკურნალოს მოწყობას კარგი მოსაზრება ეჭირვება და ამას ხელს უწყობს ეხლანდელი გუბერნატორი.

ყოველთვის სოფელში რისამე დაწყება ადვილია, მაგრამ მისი საბოლოოდ მკვიდრად დაყენებაა საჭირო. ბევრი რამ საფიქრებელია აქ: ხარჯის გამოღებას წლიურად შეიძლებს სოფლის საზოგადოება, თუ ვერა; რამდენი სოფელია მონაწილე; ვინ იქნება ზედამხედველი გამართულის ქსენონისა; ექიმის ამორჩევა და შოვნა; რა წესით უნდა მოუარონ და ზედამხედველობა გაუწიონ სოფლებმა და სხვა-და-სხვა მოსაზრება მრავალია.

ამაების მოწყობას გუბერნიის ადმინისტრაციის თანაგრძნობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა სამკურნალოების დაფუძნების დროს.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ რაც დღევანდლამდე სამკურნალო დაარსებულა, წესიერად სწარმოებს აგერ რამდენიმე წელიწადია. მაშ უნდა ვიფიქროთ, მკვიდრად არის საქმე დაყენებული.

რაღა თქმა უნდა, ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის. ხალხის გამრავლება, ნივთიერად მოღონიერება და კეთილდღეობა დამოკიდებულია მის ჯანმრთელობაზე. უბრალო ავადმყოფობის მიზეზით ხალხის გაწყვეტა, როგორც ხდება ხოლმე ჩვენში, იშვიათი არ არის. ახლო მყოფ ექიმის რჩევა, დარიგება, წამლობა ხალხში ცრუ აზრებს გააუქმებს და ჯანმრთელობას დაეხმარება.

სასურველია ამ ჟამად, რომ რაკი სოფლებში დაიბადა ხალისი სამკურნალოების დაარსებისა, სოფლის წინა კაცებმა მომეტებული მხნეობა გამოიჩი-

ნონ, რომ მიყრუებულ რაიონებშიაც დაარსდეს სამკურნალოები. საკმარისი არ იქნება, რომ დავასახელოთ და ვსთქვათ, თითო მაზრაში თითო მაინც იყოსო. ეს საკმარისი არ იქნება. მაგალითად, დუშეთის მაზრა რომ ავიღოთ, ერთი ნაწილი ქართლს ეკუთვნის, მეორე ქსანს, მესამე არაგვს, მეოთხე თერგის ხეობას (ხევს). ეს ნაწილები ისეა დაშორებული ერთმანერთს, რომ ზაფხულს გარდა მისვლა-მოსვლაც-კი გაძნელებულია თოვლიან უზარ-მაზარ მთების გამო. ამიტომ მაზრებიც-კი საჭიროა რაიონებად დაიყოს, რომ თითოეულ რაიონს თავისი სამკურნალო ჰქონდეს.

ქართლ-კახეთს იქით, იმერეთისაკენ, სამკურნალოების დაარსების საქმე ძნელად მიდის, თითქოს იქ ნაკლები საჭიროება იყოსო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ქუთაისის გუბერნიაში დიდად საზრუნველია ჯანმრთელობის საქმე. საქართველოს არც ერთ ნაწილში ისე მცირე-წლოვანების სიკვდილს ვერ ნახავთ, როგორც იმერეთისკენ. ქართლ-კახეთში თუ შეხვდებით სამოც და ათის წლის კაცს თუ ქალს, იმერეთში იშვიათია ორმოც, ორმოც და ათ წელს გადაცილებულიყოს. ციებ-ცხელება და სხვა ავადმყოფობა მალე უტეხავს ჯანს იქაურ მცხოვრებლებს.

საერთოდ ქართლ-კახეთშიაც და იმერეთისკენაც სოფლებში მარტო გლეხკაცობა არ არის მცხოვრებელი და თავად-აზნაურობა, სამღვდელო წოდება, მოვაჭრე ყოველთვის გაჭირვებაშია ავადმყოფობის დროს. ამიტომ კიდეც ქართლ-კახეთში ბევრგან გლეხკაცობასთან ერთად სხვა წოდების მცხოვრებლებიც იღებენ მონაწილეობას და სასურველია, რომ ყოველთვის, სადაც-კი ლაპარაკია სამკურნალოს დაარსებაზედ, თავად-აზნაურობამაც და სხვა წოდებამაც მიიღოს მონაწილეობა. ამ ერთობით უფრო მალე გამრავლდება ქსენონები ყველასთვის სასარგებლოდ და საკეთილოდ.

ამ ჟამად, როგორც ვიცით, ტფილისის გუბერნიაში თორმეტ-ცამეტი ქსენონია. მომეტებული ნაწილი ამათში სოფლის საზოგადოებათაგან არის დაარსებული თავიანთ ხარჯით. დავეხმაროთ მათ გამრავლებას ხალხის საკეთილ-დღეო ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის.

ტფილისი

◆ ხვალ, 29 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება წირვის შემდეგ.

◆ ჩვენ მივიღეთ საზღვარ-გარეთიდგან შემდეგი სამძიმრის დეპეშა გერმანულის ასოებით ქართულად დაწერილი: მიუნჰენის ქართველობა და ბერლინელი სტუდენტი ღამბარაშვილი უერთდებიან საზოგადოების გლოვას ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალების გამო.

◆ ჩვენ მოგვივიდა შემდეგი დაწვრილებითი ცნობანი თავ. კონსტანტინე ამირაჯიბის შესახებ: გუშინ, 24 აგვისტოს, სოფ. ავლევში მოხდა ფრიად სამწუხარო ამბავი. ოთხ საათზედ, სადილთ უკან, კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბი ამუშავებდა კალოზედ სალეწს მაშინას. რაღაც უბედურ შემთხვევის გამო მაშინამ ჩაითრია ფეხი ამირეჯიბისა და სულ მთლად მოემტვრა. იმავე საათში აფრინეს კაცი ტფილისსა და სურამში ექიმებთან. მეორე დილით თითონ კონსტანტინეს მამამ მიხეილმა მოიყვანა თან ხირურგი როზემბაუმი თავის ფერშლით, აგრეთვე ექიმი ამბარდანოვი; სურამიდგან მოვიდნენ ორნი, ერთიც აქაურ სასოფლო ქსენონის ექიმი თავის ფერშლით. ამათ გაუკეთეს აპერაცია და სულ მთლად მოსჭრეს მუხლი. შემდეგ აპერაციისა, რომელმაც კარგად ჩაიარა, ავადმყოფი კონსტანტინე ამირეჯიბი სრულებით კარგათ გრძნობდა თავს. აპერაცია დაიწყო 2½ საათსა და გასტანა ოთხ საათამდე. აპერაცია გაუკეთეს 25-ს აგვისტოს, ესე იგი, მეორე დღეს.

◆ ამ თვის 26 ტფილისის მეფარნეებმა ქალაქის გამგეობას მიუგზავნეს თავიანთ შორის ამორჩეული დეპუტატები და სთხოვეს, რადგანაც მუშაობა მეტის-მეტი საძნელო გვაქვს, მეტადრე ზამთრობით და ცხოვრებაც ტფილისში გაძვირდაო, ამიტომ ვთხოვთ გამგეობას, მოგვიმატოს ჯამაგირიო; გამგეობის წევრმა ბ-ნმა ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა ეს თხოვნა ამ ცოტა ხანში გამგეობას უნდა წარუდგინოს განსახილველად. ქალაქის მეფარნეებს ჯამაგირათ ეძლევათ თვეში 15 მანეთი, სახლი განათებითა და გათბობით და დილით და საღამოთი ადუღებული წყალი.

◆ ქალაქის გამგეობას ამ წინაზედ ავლაბარში ბებუთოვის მამულზედ მცხოვრებლებმა მიართვეს ქაღალდი და სთხოვდნენ, ქალაქმა დახმარება აღმოგვიჩინოს და ბებუთოვის მიწაზედ ქუჩა და წყალი გამოგვიყვანოსო, ამის ხარჯი გაგვაწეროს და შეძლებისა და-გვარად გარდაგვახდევინოსო; ქალაქის გამგეობამ ამ თვის 26 განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა: შევეკითხოთ ავლაბარში ბებუთოვის მამულზე მცხოვრებლებს, რა სიგრძისა და სიგანის ქუჩის გაყვანას თხოულობენ, რითი დაიგოს ქუჩა, რამდენ ალაგას დასჭირდებათ წყლის ონკანი; ყველა ამ ცნობათა წარმოდგენის შემდეგ გამგეობამ იქონიოს ამაზედ მსჯელობა და აღმოუჩინოს დახმარებაო.

◆ ამ ჟამად ტფილისის გამგეობა შესდგომია იმათ სიის შემოწმებას, რომელთა მამულებიც, 1902 წლის განმავლობაში, გადავიდა კავკასიის რკინის გზის ადმინისტრაციის გამგებლობის ხელში; გამგეობა ამათ დაუბრუნებს იმ გარდასახადს, რაც ამ ადგილებიდგან შემოსულია კასსაში. დაახლოვებულის გამოანგარიშებით დასარიგებელი ფული 35,000 მანეთს აღემატება.

◆ ამ ერთის წლის წინად მოსკოვში მოხდა ფარმაცევტების კრება; კრებამ მრავალ დადგენილებათა შორის, ყურადღება მიაქცია აგრეთვე აფთიაქებში ფარმაცევტების მუშაობის დროს განსაზღვრასაც და დაადგინა, რომ სამუშაო დრო აფთიაქებში შემცირებულიყო. ეს დადგენილება ტფილისში და საზოგადოდ კავკასიაში განახორციელა ბ-ნმა იაკუბოვიჩმა—მაკკერის აფთიაქის მოიჯარადრემ; საუბედუროდ, როდესაც ეს აფთიაქი მაკკერმა დაიბრუნა, იაკუბოვიჩისაგან შემოღებული ახალი წესი მაკკერმა მოსპო და მუშაობა ისევ დილის 8 საათიდგან საღამოს 9—10 საათამდეა. როგორც ყური მოვკარით, ამ მოკლე ხანში, ბ-ნს ოტტენს განუზრახავს შემოიღოს ფარმაცევტებისათვის შეღავათით მუშაობა.

ბ-ნს ოტტენს ამ მოკლე ხანში საკუთარს შენობაში გადააქვს თავისი აფთიაქი, სადაც მშვენივრად მოუწყვია აფთიაქშივე მომუშავეთათვის საცხოვრებელი ოთახები. ფარმაცევტებს სრული იმედი აქვთ, რომ ოტტენის ამ კეთილ განზრახვის მაგალითს ბევრი მეაფთიაქე წაჰბაძავს და შეუმსუბუქებენ ფარმაცევტებს მძიმე ტვირთს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვს და სთხოვა აცნობოს, რა მდგომარეობაშია მის მიერ აღძრული საქმე, ოლგის ქუჩიდგან იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიამდე მიმავალ გზის გაკეთებისა.

◆ ტფილისის მეშჩანთა მმართველობას ამ მოკლე ხანში განუზრახავს სხვა-და-სხვა ახალი წეს-წყობილება შემოიღოს საქმეების წარმოებაში; ამ საგნისათვის მმართველობას ამოურჩევია კომისსია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საჭირო გეგმა ახლად შემოსაღების წესრიგისა.

◆ ქალაქის გამგეობას ამ დღებში მოუვიდა ქუთაისის ქალაქის გამგეობისგან ტელეგრამა, რომლითაც სთხოვდა შეგვატყობინეთ, აპირობთ ხორცზედ და პურზედ ნიხრის შეცვლასა თუ არაო, ან როდის შესცვლით და რა მოსაზრებით და საბუთებით ჰხელმძღვანელობთ ახალ ნიხრის დადგენაშიო.

◆ ამ ორი-სამის დღის წინად ვაუწყეთ მკითხველებს, რომ გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის თავს ბ-ნს შესტაკოვს, შემატყობინე, რა მდგომარეობაშია მიხეილის ქუჩის არხის გაუქმების შესახებ საქმეო; გამგეობამ უკანასკნელ კრებაზედ ეს საქმე გარდასცა ქალაქის სასანიტარო საექიმო უფროსს სტეფანოვს, თქვენი აზრი გვაცნობეთ ამ საგანზედაო. როცა გამგეობა შეიტყობს ამ აზრს, მაშინ იქონიებს გამგეობა ამ საგანზედ საბოლოვო მსჯელობას.

◆ ტფილისის გამგეობამ უკანასკნელს კრებაზედ, განიხილა-რა მომავალ ამორჩევათა წესრიგი, სხვათა შორის, სცნო საჭიროდ მოისპოს კერძო ვექილობის მოწმობანი, რომლითაც ბევრი სარგებლობდა არჩევნების დროსაო; ამიტომ გამგეობამ დაადგინა: შემოიღოს ისეთი სპეციალური მოწმობანი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, რომელიც აკმაყოფილებდეს ყოველსავე ფორმალურ მოთხოვნილებას.

◆ ამ დღეებში საქონლის ბეითალმა გოფმანმა და საყასბოს ბეითლებმა მელქუმოვმა და კანცელმახერმა დაათვალიერეს რა ტფილისის საქონლის სადგომში ორი-სამის დღის მორეკილი საქონელი, აღმოაჩინეს, რომ ბევრი ჭირით იყო ავად; ამიტომ ზემოხსენებულმა ბეითლებმა მიართვეს ქალაქის გამგეობას ქაღალდი და სთხოვენ, რაიმე განკარგულება მოახდინეთო. ეს ამბავი ეცნობა კავკასიის საბეითალო გამგეობასაც.

◆ 26 ამ თვეს, საღამოს 7 საათზედ, მე-7 ნაწ. გრუზინსკის ქუჩაზედ საზარელი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი უბანი საცოდაობით დასწვა და შეაძრწუნა: გაღადღადებულ თონეში ჩავარდა შვიდის წლის ქალი არუთინოვისა, რომელიც თონიდგან თითქმის ცოცხალ-მკვდარი, მთლად შემწვარი ამოათრიეს; ქალის დედ-მამის წუხილს საზღვარი არა ჰქონდა; თონე მეზობელ მეწვრიმლისა იყო; ეზოში, როგორც მეზობელი, პატარა ქალი ბავშვებთან თურმე მიდიოდა სათამაშოდ; პირველად ბავშვის ჩავარდნა თითქმის ვერავის გაეგო; იქვე ოთახში მჯდომს დედაკაცს დაენახა, რომ რაღაც უცნაური ალი ამოვარდა თონიდგან და ხრაკის სუნი ეგრძნო; ამ გარემოებამ, თურმე, აღარ მოასვენა, ადგა და თონისკენ გაემართა. მხოლოდ ასე შემთხვევით დედაკაცის გამოსვლამ გადაარჩინა მთლად ჩანაკვერჩხლებას საცოდავი პატარა ქალი.

◆ 25 სექტემბერს შესრულდება 50 წელიწადი მას აქეთ, რაც გენ.-ად. თ. ივანე გივის ძემ ამილახორმა მიიღო აფიცრის ჩინი.

◆ ამ სამის დღის წინად ტფილისში იყო და აქედგან ქუთაისს წავიდა ცნობილი კრიტიკოსი 60-იან წელთა მ. ა. ანტონოვიჩი.

◆ მთავარ-მართებლის განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილების მოხელე ბ-ნი როზალიონ-სოშალსკი წასული იყო იმ ადგილების დასათვალიერებლად ჩვენს ქვეყანაში, სადაც მთავრობას განზრახული აქვს რუსეთიდან გადმოსახლებულები დაასახლოს. ბ-ნმა როზალიონ-სოშალსკიმ დაასრულა დათვალიერება ამ ადგილებისა და ამ დღეებში ტფილისს დაბრუნდა („ცნ. ფურ.“).

◆ 21 ამ თვეს ტერ-პოგოსიანცის სახლში უდელნი ქუჩაზედ, როდესაც ალექსანდრე მოისეევი პატრონებს სტენავდა წამლით და ფისტოს უკეთებდა, გასკდა ერთი ფისტონი, იფეთქა იქვე სტოლზედ წამალმა და ალი ეცა მოისეევს წვერსა და თმაში. მოისეევი საშიშრად არ დაშავებულა.

◆ 24 ამ თვეს, დიდის მთავრის ქუჩ. მცხოვრებმა მეგრელის პოლკის აფიცერმა ბ-ნმა ნევეროვიჩ-დანჩენკომ გამოუცხადა პოლიციას, რომ როდესაც შინ არ ვიყავი, ჩემი სახლიდგან ვიღამაც მომპარა ოფიცრის პალტო, შალი-პლედი, „ნაკიდკა“, ოქროსა და ლითონის საათები, რევოლვერი, დურბინდი, 6 სტოლის კოვზი და 16 მან. ფული, სულ 290 მანეთისა; ეჭვი თავის მოსამსახურე ჯარის კაცზედ აუღია თევდორე გარაევზე, რომელიც შეიპყრეს და ნაობახტში შეამწყვდიეს.

◆ 26 ამ თვეს, მიხეილის ქუჩაზედ სლივიცკის სახლში მცხოვრებმა მკურნალმა გ—მა პოლიციას გამოუცხადა, რომ ამ სახლის მეეზოვემ ოვანეზ გიულხატოვმა არა ერთხელ ჩემის შვიდ-წლი-ნახევრის ქალის გაუპატიურება განიზრახაო და აღსრულებაში ვერ მოიყვანაო ეს თავისი განზრახვაო. მამას ბავშვი ამას წინად ნამტირალევი უნახავს და ჩაჰკითხებია მიზეზს; ბავშვსაც უამბნია დაწვრილებით. პროტოკოლი გადაეცა გამომძიებელს და საქმე ეუწყა აგრეთვე პროკურორის ამხანაგსაც.

◆ 26 ამ თვეს მოსტოვოის ქუჩაზედ, ალექსანდროპოლის მცხოვრებმა ტიგრან სარქისოვმა განიზრახა თავისთან მცხოვრებ ქალის მოკვლა მაკრუი მოსესიანცისა, იმის დედისა და ოსმალეთის ქვეშევრდომისა ვართან მარქაროვისა, შეუვარდა სახლში და სამნივე მძიმედ დასჭრა. დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ოქმი გამომძიებელს გარდაეცა და საქმე ეუწყა პროკურორსაც. ტიგრან მოსესიანცი საპყრობილეში გაჰგზავნეს,

◆ 26 ამ თვეს თავი მოიწამლა საქციზო მეთვალყურემ არმენაკ ტიგრანოვმა, რომელიც საფაროვის თამბაქოს ქარხანაში მსახურობდა; ტიგრანოვმა კარბოლის სიმჟავე დალია; გვამი საანატომო თეატრში გაგზავნეს; გამოძიება სწარმოებს.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. აქაურის სემინარიის ინსპექტორი ჰკუაზედ შეიშალა და საშიშმა ფორმამ სიგიჟისამ შეიპყრო. საცოდავი ავადმყოფი ტფილისში გამოგზავნეს.

—

ხაშური. აქ რკინის გზა აპირებს სკოლის დაარსებას. სკოლაში ლექციების კითხვაცაა განზრახული სხვა-და-სხვა საგნების შესახებ. გადადებულია 10,000 მან.

—

გორი. კვირას, ოც-და-ხუთ მარიამობის თვეს საკრებულო ტაძარში სემინარიელების თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი პატივცემულის დრამატურგის ა. ცაგარლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გარდაიხადა ბერ-მონაზონმა მ. პიროსმა შვიდი ღვდლის და სამი მთავრის დასწრებით. პანაშვიდზე შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ვოლინის სასულიერო სემინარიის კურს-დამთავრებულმა გ. გიგიტაშვილმა. სიტყვა ეხებოდა ცაგარლის ვინაობასა და მოღვაწეობას პანაშვიდზე ჰგალობდა სემინარიელთა გუნდი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გორის საზოგადოება არ დაესწრო.

მტკვრის-პირელი.

—

ნიკორ-წმინდა (რაჭა). ჰელიშის მონასტერში აღმოჩნდა 30-მდე ძველი ხელნაწერი, მათ შორის ტყავზედ ნაწერი ოთხ-თავი და ტყავზედ ნაწერივე დიალოღონი. ორთავე წიგნი მე-XI საუკუნისაა და აქვთ სხვა-და-სხვა საყურადღებო წარწერები. იქვეა შენახული ვერცხლის ბარძიმი მეფე ნარინ-დავითისა. ჰელიშში ათამდე ბერია და მონასტრის წინამძღვრად ეხლა-ხანს გამწესდა არხიმანდრიტი ამბროსი (მღვდლობაში ხელაია).

—

ფოთი. 15 ამ თვეს აქაურს საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ მრავალი ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის საყვარელის, ნიჭიერის და დაუვიწყარის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად. წირვის გათავებისას გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მღ. კლიმენტი ჭანტურიამ, რომელმაც ნათლად დაგვისახა განსვენებულის ასიკოს მოღვაწეობა.

—

დღეს ფოთიდან, თითქმის ვერსის მანძილზე, მდინარე კაპარჩაზე, სადაც იგი ერთვის შავს ზღვასა, გაჩენილიყო დილის ცხრა საათზე გრიგალი, რომელიც წამოსულიყო მდინარის ნაპირას, სადაც მუშაობდნენ სილის მზიდავი მუშები. საბრალო მუშები აქეთ-იქით მიეგდო, ზოგიერთათვის ურმებიც დაემტვრია.

—

ეს ერთი კვირაა, ჰაერი იცვალა. თითქმის ყოველ დღე და ღამ წვიმა მოდის და ელვა, გრგვინვა-ქუხილია. დღეს საღამოს ექვს საათზე ყველამ ლამპრებს მიუკიდა, ისე დაბნელდა. მალე დაუშვა კოკისპირული წვიმა და შემდეგ შემოურია სეტყვაც.

ძველაია.

—

მურღულის ხეობა (ართვინის ოლქი). მურღულის ხეობა ცნობილია არა მარტო ქართულს ისტორიულს წიგნებში; ამ კუთხის შესახებ ბიზანტიის და რომაელთა ძველი მწერლებიც მოგვითხრობენ სხვა-და-სხვა ცნობებს. ამის მიზეზად გახლავსთ ის გარემოება, რომ მურღულის ხეობაში, ქრისტეს წინად, ქართველთ და ელლინთა სამადნო ქარხნები ჰქონდათ დახსნილი და რკინა, თითბერი და სპილენძი გამოჰქონდათ. ასეთ ქარხნების ნიშნები დღესაც სჩანს მურღულის ხეობაში.

მურღულის ხეობა მთელს ოსმალეთის სა-

ფელეტონი

შინაურთა შორის.

ჩვენი მოამაგე ასიკო ცაგარელი.—ქართველი ციცერონები.—საოცნებო კონცესიონერები.—ნეტა რად გაურბის რკინის-გზა ჩვენებურ ქალაქებს.

ამ დღეებში მივაბარეთ მიწას ავქსენტი ცაგარელი, კაცი ტკბილი და მოსიყვარულე. ადამიანის სიყვარული შეადგენდა მის დამახასიათებელ თვისებას და სწორედ ამ თვისების ბრალია, რომ ჩვენი ასიკო საყვარელი მეგობარი იყო ყველასი, ვინც-კი დაახლოვებით იცნობდა. მერე მასთან დაახლოვებაზედ ადვილი ხომ არა იქნებოდა-რა. საკმარისი იყო ერთი გამოჰლაპარაკებოდი, რომ გეგრძნო მისდამი დასაწყისი მეგობრულის კავშირისა. არიან ხოლმე ისეთი მადლიანი ადამიანები, რომელთაც მაშინათვე დაავიწყდებათ საკუთარი დარდი და ბოროტი, რაკი ყურს მოჰკრავენ სხვის დარდსა და მწუხარებას. რაც უნდა დიდს გაჭირვებაში ყოფილიყო, იგი ამაზედ პირსაც არ დაატოკებდა, თუკი იცოდა შენი მცირედი გასაჭირიც-კი. ის მუდამ მზად იყო შენთან ერთად ეზრუნა შენის დარდის გადაყრისათვის და ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, როდესაც დაინახავდა რაიმე ნაპერწკალს ნუგეშისას შენის მდგომარეობის წყვდიადში. მისგან არა თუ ვერ გაიგონებდი საწყენს სიტყვას, პირ-იქით თავისის წყლიანის ენით სცდილობდა შენს გამხიარულებას და კარგ გუნებაზედ დაყენებას. თანაც ამისთანა ზნეს იჩენდა არა მარტო რომელისამე განსაკუთრებულ წრის წარმომადგენელთან, არამედ ყველასთან, განურჩევლად მათის წოდებისა, ხარისხისა, ჩამომავლობისა. იმისთვის ერთი იყო მღვდელიცა და ბერიც, თავადიცა და გლეხიც, განათლებულიცა და უმეცარიც, დიდი ვაჭარიცა და უბრალო კინტოც. ყველასათვის იგი ტკბილი მოსაუბრე იყო და ამიტომაც იგი უყვარდა ყველას. დღეს აღარა გვყავს ჩვენი ასიკო და ამიტომაც ვგლოვობთ დაკლებას ასეთის იშვიათის ადამიანისას.

მაგრამ უფრო სამგლოვიაროა ჩვენთვის დაკლება მისის სამოქალაქო ღირსებისა. ეს ღირსება ისეთი დიდია, რომ მის დაკარგვას მწუხარებით იგრძნობს მთელი ჩვენი სამშობლო. ამ მხრივ საქართველოს მოაკლდა საუკეთესო მოღვაწე ჩვენის ნორჩის თეატრისა, რომელსაც ავქსენტი ცაგარელმა დასდო იქამდე თვალსაჩინო ამაგი, რომ თითქმის ფეხიც-კი აადგმევინა და ასწავლა სიარული ჩვენის ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში. სიდიადეს ამ დაუვიწყარის ამაგისას პირუთვნელად და შეუცდომლად დააფასებს შთამომავლობა; მაგრამ არც ეხლა სცდება ჩვენი საზოგადოება, რომ აღტაცებაში მოდის ავქსენტი ცაგარლის პიესებით, იმეორებს მის მოსწრებულსა და მოხდენილს ქართულს.

ადრე გამოგვაცალა ხელიდამ ულმობელმა სიკვდილმა ეს ნიჭიერი მოღვაწე, რომელიც 45 წლისა გამოესალმა წუთი-სოფელს. ბევრი მხოლოდ ამ ხანში იღებს კალამს, რომ გაუზიაროს ქვეყანას თავისი ნანახი და ნაფიქრი; ავქსენტი ცაგარელს კი ეხლა გადუტყდა ხელში კალამი, რომლისგანაც ჩვენი ქვეყანა სამართლიანად მოელოდებოდა ნიჭიერს დახასიათებას ჩვენის გზა-დაკარგულის ცხოვრებისას, ჩვენის შინაურის დახლართულ ერთურთობისას, ჩვენის, ჯერ ისევ მთვლემარე, ცნობიერებისას. მძიმეა დაკარგვა ასეთის მოღვაწისა ჩვენის სამშობლოსათვის, სადაც ყოვლად მცირეა გუნდი ქვეყნის მშრომელთა და მის ჭირისუფალთა. საუკუნოდ დარჩება სახელი დაუვიწყარის ავქსენტი ცაგარლისა, რადგან ჩვენშიაცა სწავლობენ კაცის დაფასებას და უკვე იციან, რომ

ათას ცოცხალსა ბევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

⁂

ღირსეული პატივი სცა ამისთანა მიცვალებულს ჩვენმა საზოგადოებამ, რომელმაც ისე მრავლად მოიყარა თავი, რომ სამწუხარო პროცესსიას ვერ გადაავლებდით თვალსა. ამოდენა ხალხი ერთად ჯერ არ უნახავს კუკიის სასაფლაოს, სადაც ძალა-უნებურად დაასაფლავა ავქსენტი ცაგარელი ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ. რატომ დიდუბეში არ აურჩიეს საუკუნო განსასვენებელი ჩვენს მოღვაწესაო?—იკითხავთ. რასაკვირველია, დიდუბეში სჯობდა. აქ უფრო ხშირად დაიარება ხალხი, უფრო მომეტებულს ჩვენგანს ექმნებოდა შემთხვევა ენახა საფლავი მოამაგე ქართველისა, გაეხსენებინა მისი სამსახური სამშობლოს მიმართ. მაგრამ ეხლა, ბატონებო, ყველაფრის საზომად ფულმა დაიჭირა პირველი ადგილი და არ უთვლის მას არც დამსახურებას, არც საქვეყნო ღვაწლს და არც არაფერს სხვას. დრამატიულ საზოგადოებას რომ ერთი სამოციოდე თუმანი ეშოვნა, მაშინ ადვილად შეიძენდა დიდუბეში მცირე ადგილს, რომელიც საკმარისი იქნებოდა ავქსენტი ცაგარლის ნეშტის ჩასასვენებლად. ვერ იშოვნა ეს ფული და უფრო იაფ სასაფლაოს მიჰმართა, სადაც, ისარგებლა-რა ამ უბედურის შემთხვევით, იყიდა ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც თავის დროზედ გარდაიქმნება პანთეონად ჩვენის თეატრის მოღვაწეთათვის. უფრო უპრიანი იყო ასეთი პანთეონი თვით დიდუბის ეკკლესიისთვისაც, რადგან იგი თავის მხრივ მიიზიდავდა საზოგადოებას და მიაზიდვინებდა შესაწირავს, რომლის სიდიდეზედ დამყარებულია კეთილ-დღეობა თვით ეკკლესიისაც. ეს პანთეონი გააძლიერებდა ეკკლესიის სიმდიდრეს უფრო მეტად, ვიდრე ის ფული, რომელსაც ეხლა იღებს იგი სასაფლაო ადგილებში. მაგრამ ამასაც, როგორც ყველა ხხვას ცოტათი მაინც რთულ წინდახედულობას, გაგება უნდა, გაგება რომ ყოფილიყო, თვითონვე შეეხვეწებოდნენ განსვენებულის ჭირისუფლებს—არა აქ დაასაფლავეთ, არა აქაო, იმიტომ რომ ასეთის მოღვაწის ნეშტი შვენებაა იმ ადგილისა, სადაც იგი ასვენია.

გაუგებრობისათვის დღე თითონ ამოიკრავ ცხვირში, როდესაც ქვეყანაზე მოვლენ და შეცდომის გასწორება მოუხერხებელი-ღა იქმნება. ჩვენ-კი არ შეგვიძლიან სიჩუმით ჩავატაროთ მეორე საწყენი ამბავი, რომელსაც იობის მოთმინებით იტანს ჩვენი საზოგადოება თითქმის ყოველ ამისთანა საერთო მწუხარების დროს და რომელიც ამ მწუხარებას აორკეცებს. ამ მოგახსენებთ შესახებ სიტყვათა წარმოთქმის სურვილისა, რომელიც ასე დაერევა ხოლმე ყველა ჩვენგანს და მეტადრე მოლექტორეებს. დილიდამ მოკიდებული სამ საათამდე ასრულებ შენ მოვალეობას პატივისცემისას განსვენებულის მიმართ. გამოლეული მუხლში ღონე, დაგქანცია ყოველი ნერვი, ლამის დაგიწყდეს სიმები და იქვე ჩაიკეცო ძალა მიხდილი, და სწორედ ამ დროს იძულებული ხარ შემოიდგა თავი, მოიკრიბო უკანასკნელი ღონე, რათა მოისმინო ჩვეულებრივ გაცვეთილი სიტყვა „ორატორებისა“. ვინ ამბობს, ამისთანა გარემოებაში კარგია, თუ-კი გაგაგონებენ გულის მომწყვლელ სიტყვას, რომელიც დაამშვიდებს შენს აღელვებულ გრძნობას და აღაფრთოვანებს გონებას, რომელიც

ნათელს ჩააფენს
გაბოროტებულ გულსა;

მაგრამ, საუბედუროდ, იშვიათად ამოიღებენ ხოლმე ხმას იმისთანანი, ვისაც შინაგანული აქვს უნარი ამ გვარის სიტყვების თქმისა, და მოედანზე გამოდიან უფრო სხვა ჯურის „ორატორები“, რომელთა თქმულის გაგონე-

ქართველოში ერთ საუკეთესო მდიდარ კუთხედ ითვლება. იგი სძევს ლივანის ანუ ჭოროხის ხეობის მახლობლად, დასავლეთით, რომლის კიდეებიც აწინდელს ოსმალეთის ლაზისტანს აკრავს და შავის ზღვის ნაპირებსაც უახლოვდება. მურღულის ხეობა სავსეა სხვა-და-სხვა მადნებით. აქ ხარობს ზეთისხილი, ფორთოხალი, ლიმონი, რწყავი და სხ.

მთელი ხეობა წარმოადგენს სამოთხის მსგავს სახილველს. ამ ხეობის მშვენებით აღტაცებულნი არიან ყველა ჩვენი ძველი და ახალი მოგზაურნი და მათ შორის დიმ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და ზოგნიც სხვანი.

მურღულიდგან ერთი გზა პარხლის ხეობაშიაც გადადის, სადაც დღემდე დაცულია საქართველოს ისტორიაშიაც ცნობილი პარხლის ტაძარი, რომელიც დღეს ჯამეთ აქვსთ გადაკეთებული ქართველ მაჰმადიანებს. ეს კუთხე დღესაც ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენს, იგი ლაზისტანზეა მიკრული და მცხოვრებთ ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა არის შენახული.

ამ კუთხის ისტორიულის აღწერით თავს არ შევაწყენთ.

მურღულის ხეობა ბათუმიდგან 50 ვერსის მანძილზედ სძევს, ბათუმიდგან ბორჩხამდე ეტლებიც დადის, თითო კაცის წაყვანა 1 მ. 20 კაპ. ღირს. გზა ჭოროხის ხეობით, ლივანის ხევს, ანუ მთელს ლივანას უვლის, ბორჩხა ზედ მურღულზეა მიკრული. ერთი გზა ბორჩხიდგან მურღულს მიდის და მეორე გზა ლაზისტანს, ჩხალის ხეობაზედ. ლაზისტანი ბორჩხიდგან 10 ვერსის სიშორიდგან იწყება. ბორჩხა დაბა არის, აქ არის დუქნები ვაჭრობა ჩაღდება, მუშების დიდი მოძრაობა.

მურღულის ხეობის მთა-მადნების მნიშვნელობა ადგილობრივ მეზობლად მცხოვრებ ბერძნებმა კარგათ იცოდნენ და ამიტომ ქართველთ გარდასახლების დროს, აქაური ადგილების უმეტესი მადნის მთები თვით იყიდეს. ბევრი გამოძიების შემდეგ ყველა ეს ადგილები ინგლისის მდიდარ სამადნო საქარხნო წრეებს მიჰყიდეს. დღეს ნახევარ მურღული მდიდარ ინგლისელების საკუთრებას შეადგენს.

ერთმა ინგლისის კომპანიამ მთა-მადნის სპილენძის გამოსაყვანად 7 მილიონი ფული გამოიღო და აგერ ეს მეორე წელიწადია, რაც მურღულის ხეობა ინგლისელებით აივსო და დღეს დიდი გაცხარებული მუშაობაც არის გამართული სამადნო ქარხნების ასაგებად, ჯერ ერთის კამპანიის ქარხანაში დღეს 2000 კაცი მუშაობს და შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ეს რიცხვი იმატებს. ინგლისელებმა ბორჩხიდამ მურღულის სოფ. ძანცულამდე ელექტრონული სინათლე გაიყვანეს, ტელეფონი, ტელეგრაფი და მშვენიერი გზა. იქ, სადაც ამ 15 წლის წინეთ ოსმალთა ყაჩაღების შიშით კაცი ვერ გაივლიდა და მთელი მურღულის ხეობა ერთს საშიშს გვირაბს წარმოადგენდა, დღეს იქ ვინ იცის რა არ კაკეთდა ინგლისელთა მეოხებით და ან რა არ გაკეთდება კიდევ მომავალში. ინგლისელთა კომპანიის უფროს გამგეებად არიან დირექტორები დ ინჟინერები. მუშებსაც კაი ფასს აძლევენ, მხოლოდ მუშა ხალხს მათი ენის უცოდინრობა უჭირებს საქმეს. ინგლისელთ პირველ მოსვლის ხანს სახლების კეთება ძრიელ გაუჭირდათ, ამიტომ მათ ხის სახლები ინგლისიდამ დაიბარეს, 15 დღის განმავლობაში, ლონდონიდამ ბათუმში ეს სახლები უკვე მოვიდა, იგი მალე აიტანეს და მურღულში გამართეს.

მურღულში ინგლისელთ აქვთ მუშათათვის მაღაზიებიც, სადაც ვაჭრობენ მუშები. აქ ყოველივე მოწყობილია ინგლისურად, ვაჭრობა, ლაპარაკი და წესები სულ ინგლისური არის, ჩვენს მუშებს ინგლისელები საკმარისს პატივს სცემენ, სამუშაოსაც აძლევენ. უმეტესად-კი მურღულის ხეობაში სამუშაოდ ოსმალოს სამფლობელოს მცხოვრები ლაზები, ბერძნები, სომხები და თათრები მოდიან

ზ. ქ.

რუსეთი

მე-XII არქეოლოგთა კრებაზედ ხარკოვში, აგვისტოს 17-ს ა. ს. ხახანაშვილმა კრებას გააცნო მის მიერ მოხდენილი გამოკვლევანი ათონის მთაზედ, სადაც იგი გაგზავნილ იყო მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოების მინდობილობით, მე-IX საუკუნეში დაარსებულ ივერიის მონასტრის ქართულ ხელთ-ნაწერთა შესასწავლად.

ხახანაშვილს, სხვათა შორის, გაუსინჯავს 987 წლის დაბადების ხელთ-ნაწერი, შეუდარებია იგი ქართულ ენაზედ 1743, 1884 და 1900 წწ. გამოცემულ საღვთო წერილისათვის დ შეუმჩნევია ქართულის დაბადების თანდათანობითი დამახინჯება. გარდა ამისა ათონის ხელნაწერ დაბადებისა და ბერძნულ ტექსტის შედარებით ისეთი თავისებურობა აღმოუჩენია პირველისა, რომ იგი, ალბად, სირიულით უნდა იყოს ნათარგმნი.

— ამ შემოდგომაზედ მოსკოვში უნდა გაიმართოს მეტად საყურადღებო გამოფენა მხატვრობათა; გამოფენის გამართვა უკისრია იტალიელ და ესპანიელ ახალგაზდა მხატვართა ჯგუფს იმ განზრახვით, რომ გააცნონ რუსის საზოგადოებას ეხლანდელი უმთავრესი მიმართულება მხატვრობისა იტალიასა და ესპანიაში.

— ღარიბ და სნეულ ბავშვთა საზოგადოების სამზრუნველომ აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას პეტერბურგში განსაკუთრებული თავშესაფარი უპატრონოდ დარჩენილ მოზარდ ქალებისათვის, რათა დაიფაროს იგინი გარეშე, გამხრწნელ გავლენისაგან. თავშესაფართან უნდა მოაწყონ აგრეთვე სახელთსაქმო სახელოსნო სკოლა.

— ბელგიელი „დედათა უფლების ლიგა“ დაარსებიდგან ათის წლის შესრულების გამო ჰმართავს მომავალ სექტემბერში ქალაქ ბრიუსელში დედათა საერთაშორისო კრებას; ამ კრებაზედ მიწვეულ იქმნებიან ბელგიისა და უცხოეთის დედათა მთავარ საზოგადოებათა თავმჯდომარენი და მდივანნი, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი აზრი და წარადგინონ მოხსენებანი დედათა საკითხის თანამედროვე მდგომარეობისა და მომხდარ, ან მოსახდენ რეფორმათა შესახებ. ლიგის კომიტეტს რუსეთის წარმომადგენლად აურჩევია რუსეთის საურთიერთო საქველ-მოქმედო დედათა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე და იწვევს რუსეთის ყველა დედათა საზოგადოებების თავმჯდომარეთა და მდივანთა, რომ მიიღონ მონაწილეობა „საერთა-შორისო კრებაზედ. კრებაში მონაწილეობის მსურველთ უნდა მიჰმართონ ქალ. ბრიუსელს შემდეგის ადრესით: 12, place de Barricades, hique beige du droit des femmes, და თანაც უნდა წარგზავნონ საწევრო გარდასახადად 5 ფრანკი.

— გაზ. „Нов.“-ის სიტყვით, არ იქმნა დამტკიცებული უმაღლეს მთავრობისაგან პროექტი საფოსტო უწყების მოსამსახურეთა რიცხვის მომატებისა, რადგან ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ნაადრევად იცნოვო.

— გზათა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი საკანონმდებლო [illegible] მიხედვით, რომ ამ უწყების ტეხნიკოსთა მდგომარეობა შეცვლილ იქმნეს. ახალი პროექტი უადვილებს მსურველთ ამ თანამდებობის მიღებას და თანაც მეტს უფლებას აძლევს მათ.

— გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს მომავალ შემოდგომაზედ ხელ-ახლად დანიშნოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ნამდვილი ტიპი რკინის გზათა საავადმყოფოებისა.

— რუსეთის ყველა რკინის გზებზედ უნდა დაარსდეს უფასო კურსები ავადმყოფთა და დაჭრილთა პირველ დახმარებისა და მოვლა-პატრონობის აღმოსაჩენად. ამ კურსებზედ მიიღებიან ყველა მსურველნი.

უცხოეთი

გერმანია. ბერლინში ახლად დანიშნულ საფრანგეთის ელჩ ბიგურზედ შემდეგს იუწყება „Berl. Tagebl.“-ი: ბიგური, რომელიც 1900 წლიდგან შვეიცარიაში იყო საფრანგეთის ელჩად, დაიბადა 1846 წელს; საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს იგი წაყვანილ იქმნა ტყვედ. შემდეგ იყო პრეფექტად ნანსისა და არრასისა; 1886 წ. დაინიშნა ტონკინის განსაკუთრებულ ელჩად; 1890 წ.—ესპანიის ელჩად და 1895 წ. ჰოლანდიის ელჩად. ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზედ ბიგური იყო საფრანგეთის წარმომადგენლად.

ბელგია. ჰოლანდიის კონგრესს, რომელიც ქალ. კორტრიაში მოხდა, დაესწრო ტრანსვაალის ყოფილი სახელმწიფო მდივანიც—რეიტცი. მან სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ-აფრიკის მთავარ-კამისარის ლორდის მილნერის განცხადების გამო, რომლითაც მან ბურების გენერლებს მიჰმართა კაპშტადტში ენათა შესახებ. მილნერს ეთქვა, მე მსურს, რომ ახალშენებში მხოლოდ ინგლისური ენა გამეფდესო. რეიტცს ეპასუხნა მისთვის, რომ თვით უძლიერესი მტარვალიც-კი ვერ შესძლებს მაგ აზრის განხორციელებას და ვერ დაავიწყებიებს ბურებს დედა-ენასაო.

ოსმალეთი. ხმა გავარდა, რომ საფრანგეთმა ტრიპოლისა და სამხრეთ-აფრიკის საზღვრებზედ მდებარე ოსმალეთის ადგილები დაიკავაო. პორტამ არ იცის, რა ღონეს მიჰმართოს: გადასწყვიტა ტრიპოლს ჯარები გაგზავნოს და ფრანგების მოძრაობა შეაჩეროსო.

სიამი. გაზეთი „Daily Mail“-ი მეტად უნუგეშო აზრისაა სიამის საქმეთა შესახებ. თუ საფრანგეთმა სრულიად არ შესცვალა თავისი პოლიტიკაო,—ამბობს გაზეთი,—ეხლანდელ სიამში მდგომარეობას მეტად სამწუხარო და საზარელი შედეგი მოჰყვებაო. საფრანგეთის მთავრობამ თუ ძალდატანებით სხვა-და-სხვა ოლქების მისაკუთრებაზედ ხელი არ აიღო, ინგლისთან შეტაკება აუცილებელიაო. გაზეთი სცდილობს დაამტკიცოს, საფრანგეთი დიდად მოწადინებულია აზიაში თავისი სამფლობელო გააფართოვოს სიამის ნაწილის დასაკუთრებითაო; მხოლოდ ამ სურვილით აიხსნება მისი გაუმაძღრობა, რომელიც ყოველს მის მოქმედებაში გამოსჭვივისო.

დასასრულ გაზეთი დასძენს, რომ ხმები მსაზღვრავ ოლქში მომხდარ უწესოებათა შესახებ მეტად გაზვიადებული იყოო: სამწუხაროდ 1896 წლის კონვენცია ბუნდოვანადაა შედგენილი და იმან გამოიწვია ეს აღიაქოთიო.

სხვა-და-სხვა წერილები

პასუხად ბ-ნ კალატოზიშვილს.

წავიკითხეთ ბ-ნ კალატოზიშვილის უკუდო წერილი გაზ. „ცნობის ფურცლის“ 1895 ნომერში, რომელსაც სათაურად „ორიოდე სიტყვა ხელოსანთა შესახებ“ აწერია. ამოვიკითხეთ სათაური თუ არა, გულში სიხარულის ნათელმა ჩაშუქა. გვეგონა რაიმე ახალს გვეტყოდა და ჩვენს წყლულს მალამოდ დაედებოდა, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით. რომ ეს ასე, დასარწმუნებლად თვითონვე ვალაპარაკოთ ავტორი თავის შეხამებულის ქართულით. „საკვირველი ხალხი ვართ ქართველებიო, (რომელ ქართველებთან აქვს საქმე, არ ვიცით): ვისწავლით თუ არა ანბანს, მაშინვე საზოგადო ასპარეზზედ გამოვდივართ, ახალ-ახალ პროექტებს ვადგენთ და საზოგადოებას ვპირდებით (რას დავპირდით), თუ ამაებს განვახორციელებთ, სამოთხის ნეტარებას (ეს სამოთხის ნეტარება რაღაა? ნეტავი) აქვე ვიგემებთო“. ამბობს ამას და ბრაზი მოსდის „ივერიაზედ“: რა ღირსი იყო, რომ ვიღაც ბ—შვილს კვერი დაუკრაო. მაშინ როდესაც ამქრის დღენი დათვლილია და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც არხივისაკენ გაამგზავრებენ, რადგან არც ჩვენს ცხოვრებას და არც ხალხის მისწრაფებას აღარ შეეფერებაო. რუსეთის დიდ ქალაქებში ბევრგან გაუქმებულია ხელოსანთა ამქრები. ევროპაში ხომ იმათი ხსენებაც არ არისო.

აფერუმ კალატოზიშვილო! ნეტავ, იმ ამქარს, ვისაც შენისთანა მცოდნე და გამოცდილი წინაწარმეტყველი ჰყავს ჭირისუფლად! მერე რა გინდოდა გვითხრა მაგითი? რატომ იმასაც არ გვიწინასწარმეტყველებ, რომ მერე „პოლიციასა“ და „სუდთან“ გვექნება საქმე-თქო..

მე რათა ვსთქვი ჩემ წერილში: სჯობია თვალით, ბრმა იყოს კაცი, სანამ გონებით-მეთქი? იმიტომ, რომ ვიცოდი კალატოზიშვილებისთანა გონებით ბრმანი მრავალნი გამოჩნდებოდნენ ისეთნი, რომელნიც თავიანთ საკუთარს დაწესებულებას ფეხით გაჰქელავდნენ.

მაგრამ დავანებოთ თავი ყველა ამას (თითქო ძალას ატანდეს ვინმე) და გადავიდეთ (გულ-ნაბადი-კი მოიხსენ, არ დაგამძიმოს) ბ-ნ ბ—შვილის წერილზედ. პირველ უნდა აღვნიშნოთ ბ—შვილის უსუსურობა: ხელოსნებში შრომის განაწილება იმას დიდ ცოდვად მიაჩნია (საიდან გაუგია?) აი, რასა სწერს იგი (ვითომ მე) ამის შესახებ: ქალაქში მეჩექმეთა ასში ერთს ვერ იპოვნით, რომ ჭრა და კერვა იცოდეს. ერთი რომ სჭრის, მეორე ჰკერავს. ზოგიერთს გიყვით ერთი საქმე აუხემებია, ჩექმასა ჰკერავს და, ტყავი რომ გაძრო, „პოდსპოშვისა“ არა იცის-რაო. ჩვენ ხელობაში-კი სხვა-და-სხვა საქმეა: ქალისა, კაცისა და სხვა. როგორც სჩანს, ამ მარგალიტების დამწერი ძალიან ნაკლებად იცნობს თანამედროვე წარმოების წესს. ის, რაც წარმოების ქვა-კუთხედს შეადგენს, ბ—შვილს დამამცირებლად მიაჩნიაო. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ, ბრძანებს ავტორი, ბ—შვილის აზრი მეჩექმეების შესახებ. იგი ბრძანებს: სხვებს აჭრევინებენ და თვითონა ჰკერავენო. ეგ მართალია, მაგრამ, როდის არ იყო ასეთ, ან სად არის ისეთი მეჩექმე, რომელიც ყველაფერს ისე აკეთებდეს, როგორც ბ—შვილს ჰნებავს. მეჩექმეების გვერდით არიან ხელოსნები, რომლებსაც Закройльщикъ-ს ეძახიან. თუ ასეა, მეჩექმეებს რომ კალაპოტები და „შპილკები“ (კარგია, ტყავებიც არა სთქვა) სჭირდებათ, მიკვირს ამის მომზადება-გაკეთებასაც არ ავალებენ მეჩექმეებს.

ვინ იცის, როცა ამაებსა სწერდა, როგორ იჭიმებოდა, ნახეთ რა ვსთქვიო. შე დალოცვილო, ისეთ რასმე იტყოდი, შეუძლებელი ყოფილიყო, თორემ „შპილკა“ და კალაპოტი რა ისეთი იარაღია, მცოდნე ხელოსანს გაუჭირდეს იმისი გამოთლა. იმდენი დღეგრძელობა შენდა და მეც, რამდენიც ამ სტრიქონების დამწერს, რომ დაუსაჭიროვებია და ვერ უშოვია, ერთიცა და მეორეც შეშებიდგან გამოუთლია და თავის საქმე იოლათ წაუყვანია აქ, ტფილისში-კი არა, სხვაგან, სადაც შენი თვალი და გონება ვერ მისწვდომაა. ასევე იქცევიან დღეს სხვებიც სხვაგან და არა აქ. ოსტატმა თუ დაპახანიდგან ტყავი მოიტანა, ჩემი და თქვენი დახმარება არა სჭირია, თვითონ ძალიან კარგად სჭრის და ჰკერავს კიდეც და იმ თქვენგან დასახელებულ „შპილკა“-კალაპოტსაც თავათ იმზადებს.

ბ—შვილი ბრძანებს: „ქარგლებს, შეგირდებს ჩასძახიან, 6 საათიდგან 6-ზე მეტი არ იმუშაოთ და სხ. ბ-ნო ბ—შვილო, სწორედ ეგ დღე-და-ღამ მუშაობაა თავი და თავი მიზეზი, რომ ხელოსანთა უმრავლესობა ვერას გამხდარა. ნუ-თუ არ იციანო,—განაგრძობს რისხვით ზოგიერთ უსტაბაშებზედ,—მთელი ქარგალთა უმრავლესობა ნაჭრიოთ მუშაობს საქმეს და 6 საათზედ რო აუშვას მუშაობა, ისიც მაის-თიბათვეში (ნეტა მაის-თიბათვე რაღაა?!), ეს უკვირს ჩვენს ფილოსოფოსს. მაის-თიბათვე ის არის, ჩემო ბ-ნო, რომ 4 საათზედ ითენდება და ცხრაზედ ღამდება. 6 საათზედ რომ ისტუმრებ, სად აძლევ გასართობ ბინასამეთქი. ზამთარში-კი დღე პატარაა და შეუძლიან 7—8 საათზედ ლოგინშიაც ჩაწვეს. კაის მთქმელს კაი გამგონიც უნდაო, იტყვიან ხოლმე და, შენ რო გაგება არაფრისა გქონდეს, ჩემი რა ბრალია. როგორც სჩანსო, ბ—შვილის აზრით, რაც მეტს იმუშავებს ხელოსანი, მით მეტს აიღებს. რად არ იცის ბ—შვილმა, რამდენადაც სამუშაო დრო კლებულობს, იმდენად ხელფასი მატულობსო, ძნელია, როცა კაცი ურებ ევროპიელდება და ცხვირწინ კი ვერასა ჰხედავს. მე გირჩევ, ჩემო მეგობარო, მანამ ევროპის სხივი შემოანათებდეს და ჩვენს გაციებულს გულ-მკერდს გაათბობდეს, დღე-და-ღამ შრომას და დაუღალავი შრომა არ მოვიშალოთ. შრომა,—აი, რა აკეთილშობილებს კაცს. როცა ღმერთი ინებებს და გონებით განგვავითარებს და ურთი-ერთს შეგვაკავშირებს, გამოგვაწყრინებს სხვა-და-სხვა მანქანას, რომელიც ერთს დღეს ორასის კაცის საქმეს აკეთებს, მაშინ მიქადაგე დღეში 8 საათის მუშაობა, „ჩემო“ კარგო, და თუნდა ექვსი საათისა. თქვენ სწორედ ისე მოგვდისთ, ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს აღბობდნენო.

დასასრულ, ცილსა მწამებს, ხელს აფარებს ხელოსნებს და გაიძახის, ეხლა ხელოსანი ხალხი ძალიან შორს არის დუქან-ტრაქტირებში ხეტიალისგანაო და თუ მცირე ნაწილი კიდევ დაიარება, ეს ის ქარგალ-შეგირდები არიან, რომლებიც 6 საათიდგან ღამის 12 საათამდის თავ-აუღებლად მუშაობენ 6 დღეს კვირაში და ერთი საათიც არა რჩებათ თავისუფალი, რომ თავიანთ ანორმალურ (ცოდნა რა კარგია!) მდგომარეობაზედ იფიქრონო. რაღა საკვირველია, რომ ასეთი კაცი (თუ ხალხი) მე-7-დე დღეს სასმლით გაბრუვდესო და ბოლოს დარდიანათ ამბობს: ყოველივე ეს ხომ საანბანო ჭეშმარიტებაა და ვწუხვართ, რომ ბ—შვილს და იმათთან ერთად (თუ იმასთან) „ივერიას“ ვერ გაუგიაო დღემდისაო.

ძალიანა ვწუხვარ, რომ ბ-ნმა კალატოზიშვილმა დრო დამაკარგვინა ასეთ უსაგნო წერილზედ, მაგ-

---

ბაზედ მწუხარების ადგილს იჭერს თქვენს გულში ბრაზი, და გამწარებული ეკითხებით თქვენს თავს:

ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცელავს?

და ვერ მიგიღიათ დამაკმაყოფილებელი პასუხი. ღმერთმა-კი მეტი შნო მისცეთ ჩვენს ციცერონებს, მაგრამ სწორედ დიდი გაბედულობა, დიდი წარმოდგენა საკუთარის ვინაობისა და უფრო მომეტებული მეტიჩარობა უნდა ჰქონდეს კაცს, რომლისთვისაც განგებას არ ურგუნებია არავითარი უნარი მსმენელთა გულის სიმების აჟღარუნებისა, მათის აზრის შეპყრობისა, რომ ასეთი კაცი შესკუპდეს მაღლობზედ, ათასი მაყურებელი შეაჩეროს და მოასმენინოს თავისი ნაცოდვილარი, ან იქნება თათარიახნად შეხანხნული პროზა, თუ ლექსი, რომლებშიაც არა ყრია-რა, გარდა ცარიელის რახი-რუხისა. ოჰ, რა კარგი რამა ხარ, შე ტიალო თავმდაბლობავ და ნეტარო მორიდებულებავ!..

* * *

მაინც ეს ცარიელი რახი-რუხი ძალიან აეკვიატა ჩვენს ხასიათსა და ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის მტკვარსა და რიონში, რომ ჩარეცხოს ეს უბედური თვისება ჩვენის დათეთქვილის ბუნებისა. მაშ რა იყო, თუ არ ცარიელი რახი-რუხი, რომელიც გაგვიდიოდა ამ ათის წლის წინად მოკიდებული უკანასკნელ დრომდე შესახებ კახეთის რკინის გზისა. რახი-რუხი რახი-რუხად შეგვრჩა, ზოგისთვის ავკაცობადაც შეიქმნა და კახეთს-კი აქამდე არ ეღირსა გაუმჯობესებული იარაღი ხალხის მიმოსვლისა, რასაც რკინის გზა ჰქვიან. კახეთი დარჩა მამა-პაპეულ ურმის ანაბარა. აბა, გაიხსენეთ, როგორ იყო საქმე. ჩვენს თავად-აზნაურობას მისცეს ნება გზის გამოკვლევისა. ჩვენმა წარმომადგენელებმა ჯეროვანად დააფასეს ასეთი ძვირფასი უფლება, გამოიღეს თითქმის ათას ხუთასი თუმანი, დაიქირავეს მარჯვე ინჟენერები, შეადგინეს ჩინებული გეგმა გზის მიმართულებისა და ყოველივე შეკრებილი მასალა წარუდგინეს მთავრობას. რა დიდი იმედები აღიძრა ჩვენს საზოგადოებაში! არა თუ მარტო გვახარებდა, რომ საუკეთესო კუთხე ჩვენის სამშობლოსი შეუერთდებოდა საქვეყნო გზას, რომელსაც იგი დღეს მოწყვეტილია; არამედ უფრო მომეტებულად გვიტაცებდა ის აზრი, რომ თვით გზის გაყვანისა და ექსპლოატაციის საქმე თავად-აზნაურობის ხელში იქმნებოდა. მაშინაცა გვწამდა და ეხლაც დარწმუნებულნი ვართ, რომ თავად-აზნაურობა ადვილად შეასრულებდა ამ დიდს და ყოვლად სასარგებლო საქმეს, გამოიჩენდა უნარს მისის მართვა-გამგეობისას და მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს წარმატების სარბიელზედ. მაგრამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ რასაც კაცი თავის თავს უზამს, ათასი მტერი იმდენს ვერ ავნებსო, სწორედ ასე მოგვივიდა ჩვენცა. ვერ ვიმუყაითეთ დ თითქმის გარიგებული საქმე ჩამოეცალა ხელიდამ მთელს წოდებას. მერე ხომ კერძო კონცესიათ იქცა ეს საზოგადო დაწყობილობა. ხაზი გაესვა წინანდელს მიმართულებას გზისას, შეიმუშავეს ახალი მიმართულება, გაჭიმეს იქამდე, რომ ერთნახევრად უფრო დააშორეს კახეთის გული ამიერ-კავკასიის გზას. ასეთს გაჭიმვას თანხაც შესაფერი უნდოდა. 5 მილიონის მაგიერ 12 მილიონებით დაიწყეს ლაპარაკი. სადაც მთელი წოდება 5 მილიონ ფულს იშოვნიდა, იქ კერძო კაცები 12 მილიონს ვერც-კი უსუნებდნენ, რასაკვირველია და ამის წყალობით გამოგვეცალა ხელიდამ დიდი საქმე, რომელსაც შეეძლო ძირეულად გამოეცვალა ჩვენის თავად-აზნაურობის მდგომარეობა, მისი შეხედულობა ცხოვრებაზედ, მისი ქონებრივი ალებმიცემობა და სხვანი. ყველა ამის მაგივრად ხელში შეგვრჩა მხოლოდ რახი-რუხი. საქმეს ვერ ვუდარაჯეთ სათავეში, ფული დაგვახარჯინეს და პანღური გვკრეს, გეხუმრეთ, მოგალორეთო. მერე დიდ-ხანს გვესმოდა რახი-რუხი შესახებ საოცნებო კომპანიებისა თავიანთის 10 12 მილიონებით და ბოლოს ახალი ხმა, ვითომც მთავრობა ისევ იმ გეგმას დაუბრუნდა, რომელიც თავად-აზნაურობამ შეიმუშავა ამ ათის წლის წინეთაო. მაშ ეს ათის წლით ჩვენი დაქვეითება რაღა საჭირო იყო. მაგრამ ჯანი და სული წაჰხვლია ათ წელიწადს, თქვენი ჭირი წაუღია, ოღონდ ეხლა მაინც ეღირსოს კახეთს გზა. ეს არის, რომ ძნელადღა დაგვაჯერებენ ცარიელის ხმით. რაც გინდ ტკბილი იყოს ეს ხმა.

მის გაგონებაზედ ბევრ ჩვენგანს მწარედ გაეცინება და მოაგონდება პოეტის სიტყვები:

განა მართალსა ამბობენ ყვავა,
ვინაცა ჰფიცავიან!..

* * *

აგერ ჩვენს ტფილისს-კი არ ეფიცებოდნენ—ოღონდ ადგილები დაგვითმე ბაქოს გზისათვის და კვირაცხოველთან, ჩუღურეთში, სტანციას გაგიმართავთ და მიწის ფულს კიდევ ცალკე მოგცემთო. ადგილი-კი წაიღეს დ არც ფული მისცეს ქალაქს, არც სტანცია გაუკეთეს. რა ტფილისი გინდათ, ბატონებო, აიღეთ ქუთაისი, გორი, ოზურგეთი, განჯა, ყველგან ისეთი მიმართულება მისცეს რკინის გზის ლიანდაგს, რომ ქალაქები ნარიყალაზედ დაანარჩუნეს, მეტადრე საცოდავი ოზურგეთი და შემდეგ ქუთაისი.

ამერიკაში იციან—ჯერ ამოარჩევენ იმისთანა მარჯვე ადგილებს, სადაც საჭიროა ქალაქების გაშენება, მერე გაიყვანენ რკინის გზას და ორ-სამ წელიწადს გაშენდება ქალაქები, რომელთა მცხოვრებნიც აწვდიან გზას უშველებელ საზიდ საქონელს და მგზავრს. ქალაქი სწორედ მისწრებაა რკინის გზისათვის და ეს უკანასკნელი კიდევ პირველისათვის. ორივენი ურთიერთის დახმარებით ძლიერდებიან და კეთილდღეობენ. ჩვენში-კი რკინის გზა ისე ერიდება ქალაქს, თითქო მოსისხლე მტერს უფრთხოდეს, და ამაში ჰხედავს თავის ეკონომიურს მოხერხებასა, შორს მჭვრეტელობას. ეს ოცი და ათი წელიწადია, რაც ქუთაისი ემუდარება რკინის გზის მართველობას:

სამვილიშვილოდ დამედვას
შენი წლის თავზედ კურატი,
ოღონც-კი ნუ გამიწყრები,
ნუ დამაღონებ ნურათი;

მაგრამ თქვენც ნუ მოუკვდებით ჩემს თავს, მართველობას ფიქრადაც არ მოსდიოდეს ქუთაისის გულის მოგება. აგერ ამ დღეებშიაც შეუთვალა ის ავეპასუხი, რომელიც მიჰსვლია არა ერთხელა და ორჯელ: მე მირჩევნია ისევ ნიაღვარმა წალეკოს ჩემი ლიანდაგი, თუნდა წელიწადში სამჯერაც და თითოჯერ დამინგრიოს ხიდები, ბოგირები, სადგურები, მოაკლოს ჩემს შემოსავალს გინდ ორი მილიონი წლიურად, ოღონდ-კი თავი დამანებე და ნუ მანაღვლებ ახალის გზის გაყვანას, გინდაც ამ გზას მხოლოდ შვიდი-რვა მილიონიც ეყოფოდეს ერთბაშად და შემდეგ არავითარს ზარალს არ მიქადიდესო. უეჭველია, ასეთსავე პასუხს მიიღებს ქუთაისი შესახებ შავი-ზღვის პირის ლიანდაგისა. ახლოს არ მიველკარები ქალაქებს, „გინდ თავში კეტი მეცხოსაო“, და აბა რას იზამთ ამისთანა უცნაურ შეხედულობასთან! თუ გინდათ, თქვენ თვითონ იკისრეთ გზის გაკეთება, როგორც აგერ ეხლა თავად თავდგირიძეს მივეცით ოზურგეთის გზაო.

ვისურვოთ, რომ თავად თავდგირიძეს მაინც აუსრულდეს ნატვრა და კეთილად დაუგვირგვინდეს მეცადინეობა, რომ მისმა მაგალითამ გაგვამხნეოს და არ შეიქმნას ისეთ გულსაკლავ ამბად, როგორც თავად წერეთლის კონცესია და კახეთის გზისა.

სანო.

რამ დღეს მაინც უქმია, მარიობა დადგა და მინდა ხელი დავუწყო ჩემ მოკამათეს და ვოკზლისაკენ შევატარო, ვაჩვენო, იქ მისგან დასახელებული — დროიდან დროთი მომუშავე ხალხი დიდის სახელოსნო რკინის გზის ზოგიერთებ გარდა, იარაღთვისა, პაპიროზისა, კარაპეტოვისა, რუქსისა და სხვათა ქარგალ-შეგირდები რას აკეთებენ. რაკი თავის ნება კაცია და არ უნდა ჩემისთანა უსწავლელ ხელოსანთან გამოვლა, მე ავუწერ და, თუ რამე ტყუილი შემამჩნიოს, პირობასა ვდებ ჩემს დღეში კალამს ხელი აღარ მოვკიდო სურვილისამებრ კალატოზიშვილისა. რკინის გზის სახელოსნო 17—18 წლისაზედ ნაკლებ შეგირდს აღარ იყვანს დღეს. მაშასადამე, იყვანს იმისთანას, რომელსაც ცნობიერება გაღვიძებული აქვს. დანარჩენ სახელოსნოებში 9—10—11—12—13-ის წლისანი მიუციათ შეგირდათ იმ აზრით, რომ როდისმე ჩვენი შვილები ნახირში გაერევიანო, მაგრამ რასა ვხედავთ ამ უსუსურ ბავშვებისას? თავის ხელზეითებს ასძლოლიან სამიკიტნოებში პაპიროზით ხელში და გადაჰყავთ მაურიანი სტაქანი არყები. ბევრისაგან ბევრი გამოეთხოვა დედ-მამას, რომლისაც ალი-კვალი აღარ იციან. ვინ იცის, რამდენი საიქიოსაკენ გაისტუმრა თავ-დაუჭერელმა ცხოვრებამ და ბ-ნი კალატოზიშვილი-კი ნამუსსა სწმენდავს. არა, ბიძია, მამავ და შვილო! ქართული ანდაზა ამბობს: კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო. ძალიან მადლობელი გავუხდები, როგორც ბრძენ კაცს, გაგვაგებინებდეს ამათ სასძაგლობას როდისღა მოუღება ბოლო? ისწავლიან თუ არა ანა-ბანასაო, ირონიულად იღიმება, — პროექტების წერას დაიწყებენო. აჰ სითამამევ, კარგი რამა ხარ კაი ადამიანის ხელში! მაშ როგორაო? ისწავლეთ და პირზე კლიტე დაიდევით, ნურც ქვეყნისას თქვენ გაიგებთ და ნურც ქვეყანას თქვენსას გააგებინებთო?! მაშ, თითონ რადათ ეპოტინება ევროპასა და იმის ამბებს, როდესაც თავის მოძმის გაჭირვება-დაღხინებას სასტიკ ჯალათად ადგია?!

ამითი ვათავებ ჩემ წერილს და უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ კალატოზიშვილს, გულს ნუ აიცრუებს წერა-კითხვაზედ, ხოლო წაკითხულს დაუკვირდეს, გაიგოს და შესაბამა პასუხი გასცეს ხოლმე, თორემ ასეთი აბდა-უბდა წერილების წერა დროს დაკარგვაა საქმიანის კაცისათვის.

ს.—ბ—შვილი.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ბ-ნი ე. ავაკიანი ამა აგვისტოს 25 რიცხვის „მშაკში“ იწერება სპარსეთიდგან, სხვათა შორის, შემდეგსა:

> ორიოდე სიტყვაც უნდა ვუძღვნა ერთ ამბავს: იმ ხანებში მომიხდა მაზანდარანის სპარსთა სოფლების დავლა. გავიარე ერთ დიდ სოფელთან, სადაც 800 მოსახლე მკვიდრობს. ვკითხე ერთ სპარსელს, ეს რა სოფელია-მეთქი? გიურჯი მაჰლა (ვითომ ქართველთა სოფელი), ჩვენც თქვენებური ვყოფილვართ, ჩვენი მამა-პაპა შაჰაბაზს გიურჯისტანიდგან (საქართველოდგან) ტყვედ წამოუსხამსო„ მივიღე პასუხად. მცხოვრებთ სახეზედ ეტყობოდათ სრული მსგავსება ქართველებისა, ნამეტურ ქალებსა, რომელთაც შერჩენიათ ქართველ ქალების სილამაზე. ძველის ქრისტიანობისა ის დარჩენიათ დღეს, რომ მოდედებულ პურის ცომზე ჯვრის ნიშანს აკეთებენ ხელითა.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სპარსეთში რამდენიმე სხვა სოფელიც არის ქართველებისა, რომელნიც შაჰ-აბაზს გადაუსახლებია საქართველოდგან. დაწვრილებულნი ცნობანი იმათ შესახებ გვაუწყა პირველად იქიდგან გადმოსახლებულმა განსვენებულმა ათანასი ონიკაშვილმა, ხოლო შემდეგ დაწვრილებით აღწერა ეს სოფლები და მათში მცხოვრებნი ქართველნი აწ უნუგეშოდ ავადმყოფმა ვლ. (ლადო) აღნიაშვილმა.

ბიბლიოგრაფია

ავრელიო პალმიერი, რომელიც ამ ბოლო დროს კონსტანტინეპოლიდამ ნეაპოლს გადასახლდა, განაგრძობს თვისს შრომას და იტალიურს ენაზედ ევროპას აცნობებს საქართველოს ეკკლესიურს ცხოვრებას. მოგვივიდა მისი მეორე წიგნაკი, გადმობეჭდილი ჟურნალიდამ ბესსარიონე (Estratto dal Bessarione. Rivista di Studi Orientale). ამ წიგნაკშიაც, როგორც პირველში, რომლის შესახებ „ივერიაში„ უკვე დავბეჭდეთ შენიშვნა, ავტორი კეთილსინდისიერად, დიდის დაკვირვებითა და ცოდნით იკვლევ-იძიებს ქართველთა მოქცევის ისტორიას. მას ხელთ აქვს მრავალგვარი წყაროები—ლათინური, ბერძნული, ქართული, სომხური, რუსული, კოპტური და ამ წყაროების მიხედვით განიხილავს შემდეგს კითხვებს:

ა) პირველნი წელიწადნი წმ. ნინოს მოციქულობისა მცხეთას (i primi anni dell' apostolato ei S. Nina a Mtzkhetha).

ბ) მირიანის მოქცევა (La conversione di Mirian).

გ) ქრისტიანობის პირველი ხანა ივერიაში (il primo tempio cristiano nell' Jberia).

დ) მონათვლა ქართველთა (il battasimo della Georgia).

ე) მირიანისაგან მეორე გზობის მოციქულის წარგზავნა კონსტანტინეპოლს (La seconda ambasciata di Mirian a Costantinopoli).

ვ) მახარებლივი მგზავრობა წმ. ნინოსი (L'apostolato di S. Nina). მოთხრობილია კახეთის მოქცევის ისტორია.

ზ) გარდაცვლა წმ. ნინოსი (Morte di S. Nina).

ჱ) გარდაცვლა მირიანისა.

თ) დასკვნა (Epilogo).

მ. ჯ.

წ ე რ ი ლ ი
რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

გთხოვთ თქვენს გაზეთში დაჰბეჭდოთ შემდეგი ანგარიში იმ წარმოდგენისა, რომელიც იყო ჩემ მიერ გამართული დაბა ცხინვალს 10 აგვისტოს ამ წელს ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 141 მ. 20 კ., ბუფეტიდგან 54 მ. 15 კ., გორის მაზრის უფროსისგან 5 მ., ბ-ნ ყურულისგან 3 მ., კნ. თაქთაქიშვილისაგან 1 მ. 50 კ. სულ 204 მ. 85 კ.

გასავალი იყო: სამხედრო მუსიკას 22 მ., მათი ჭამასმა 18 მ., პარიკმახერს 8 მ., მეზურნეებს 5 მ., განათება და სანთლები 5 მ. 80 კ., სცენის დადგმა, პოლების გაწმენდა, სკამების და მებელის გადატან-გადმოტანაში და სხვა წვრილმანი ხარჯი 5 მ. 9 კ. ბილეთების დაბეჭდვა 2 მ., ხილი, კამფეტები, პიროჟნი და სხვა ცივი სასმელები 9 მ. 45 კ. იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა სასარგებლოდ 4 მ. სულ 79 მ. 34 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 125 მ. 51 კ.

ეს ფული გარდაეცა კომიტეტის თავმჯდომარეს ცხინვალის მომრიგებელ მსაჯულს ბ-ნ პოპოვს. არ გამოუგზავნიათ ბილეთებისა 25 მან., რომელიც მიღების უმალ გარდაეცემა იმავე თავმჯდომარეს.

ამასთან ვალად ვრაცხ გამოვუცხადო ჩემი უგულითადესი მადლობა ა. ფ. პოპოვისას, ნ. მ. პოპოვს, ი. ა. მაჩაბელს, ნ. ი. სულხანიშვილს, რომელთაც დიდი შემწეობა აღმომიჩინეს წარმოდგენის გამართვაში, აგრეთვე კნიაჟნებს ნ. პ. და მ. პ. ბარათაშვილებისას, ს. ი. სულხანიშვილისას, თ-დ ზ. ი. და ი. ა. მაჩაბლებს, გ. ი. პაპივს და ფ. პ. კარპოვს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში.

უმორჩილესად ვთხოვ სხვა რედაქციებსაც გადაჰბეჭდონ თავის გაზეთში ეს ანგარიში.

კნ. ელისაბედ მაჩაბლისა.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 აგვისტო

პეტერბურგი. მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი. 26 აგვისტოს 1902 წელს: „ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობას გასულს კვირას არავითარი ცვლილება არ დაეტყო. აღნიშნულ დროს განმავლობაში ცვლილება არ დაეტყო მაჯას, გუნებაზედ კარგად ბრძანდებოდა. ამ ჟამად სრულს განკურნების გზას ადგია და ამის გამო ბიულეტენები ამას იქით აღარ გამოიცემა“. ხელი მოაწერეს: ლეიბ-აკუშორმა პროფ. დმ. ოტტმა, ლეიბ-ქირურგმა გირშმა.

იაროსლავი. იაროსლავის საგუბერნიო საკრებულოს ხმოსნებმა გუბერნატორად ყოფილს შტიურბერს მიართვეს მაცხოვრის ხატი და მადლობა მოახსენეს იაროსლავის ერობისა.

ზაგრები. ცნობა, რომ ვითომ გაძარცულ იქმნა მართლ-მადიდებელთა ეკკლესია, ტყუილია, მხოლოდ ორი მინა დაიმსხვრა მაშინ, როდესაც სერბების მომიჯნავე სახლობას ქვები დაუშინეს. ქალაქში სრული მშვიდობიანობაა.

ბელგრადი. მრავალ-რიცხოვანს ყრილობაზედ სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტის სიღიჩის თავმჯდომარეობით მიღებულ იქმნა დადგენილება, რომელიც ჰგმობს ზაგრებში მომხდარს შემთხვევებს. დადგენილებაში გამოცხადებულია, რომ სერბიის ერი დიდის თანაგრძნობით ეკიდება ზაგრების სერბთა მოქმედებას, მიმართულს განსამტკიცებლად ნაციონალურ თვითცნობიერებისა და სერბთა ყოფა-ცხოვრების ასამაღლებლად სამ-ეროვანს სამეფოში.

პეტერბურგი. გუშინ, 25 აგვისტოს, რკინის გზით საზღვარ გარეთ წავიდნენ საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი კონსტანტინე მეუღლით და მეფის ძენი გიორგი და ანდრია.

27 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. მდ. კამაში წყალმა მეტად დაიწია, რამაც გემების პატრონები დიდს საგონებელში ჩააგდო.

ლენქორანი. ამ დღეებში სოფ. ტანგეჩუდში, ლენქორანის მახლობლად, სოფლელებს ბინა მიუციათ ოთხი ყაჩაღისათვის; როცა ყაჩაღებს დასძინებიათ, მოსულან სოფლელები და ცულით დაუკეპიათ იგინი. ყაჩაღები თურმე შიშის ზარსა სცემდნენ იმ არემარეს.

ბიისკი. გამბურგიდგან ჩრდილოეთ მონგოლიის მხეცებზედ ზამთარს წასული ექსპედიცია გრიგერდის მეთაურობით, ბიისკს დაბრუნდა. მოიყვანეს 10 გარეული კვიცი, პრჟევალსკის მიერ აწერილ ჯიშისავ 13 თხა ალტაისა, 14 იაკი და ტიბეტის ხარი, რომელთა შორის ზოგი სიმაღლით მეტრ-ნახევარი და სიგრძით ორ მეტრ-ნახევარია.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,05
პარიჟში 100 ფრანკში	37,40
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	289½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	470 გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	380 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57წ. დილ	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—18)

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოთ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მასზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფული-კი დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით: Квирилы. Квирильское Театральное Т—во.—პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა
კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა.

(10—6.—6).

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა
ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°

„Парфюмерія
Рояль-Ралле“

გუმმი-პეპსინი
(Gummi- Pepsin)
პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

სადეჟი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმელის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს. 5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—8)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკაში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—21)

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ლმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ შეწევა მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	“
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნაკაშიძისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გოგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.